

2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. №08-14(CMR 140158543) ხელშეკრულებაზე

თბილისი

23.07.2015წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილე მაია ქალიაშვილის სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და შპს საპროექტო – საკვლევადიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ტალი ტალიაშვილის სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს 22.07.2015წ. №4819-2 მოხსენებითი ბარათის და ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.2 და 14.6 პუნქტების საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება საავტომობილო გზების და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების გაწევისა და ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში, საავტორო ზედამხედველობის გაწევის საპროექტო მომსახურების შესახებ მხარეთა შორის 2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. №08-14 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი საპროექტო მომსახურების თანხიდან დამატებითი მომსახურებისთვის საჭირო ხარჯებში გადატანილ იქნას 150 000.00 (ას ორმოცდაათი) ათასი ლარი დღგ-ს ჩათვლით.

2. წინამდებარე დანართზე თანდართული, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი და შემსყიდველთან შეთანხმებული კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი).

3. აღნიშნული ცვლილება არ იწვევს ხელშეკრულების საკონტრაქტო ფასის შეცვლას. შესაბამისად, შესრულებულ სამუშაოებზე ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების ფარგლებში, გატარებული ცვლილებების გათვალისწინებით.

4. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

5. წინამდებარე დანართი მასზე თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

6. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
მაია ქალიაშვილი

მიმწოდებელი
შპს საპროექტო – საკვლევადიებო
ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“
დირექტორი
ტალი ტალიაშვილი

Handwritten signatures and blue circular official seals of both parties are present at the bottom of the document.